საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბრძანება

№ 412 2019 წლის 10 ოქტომბერი ქ. თბილისი

ი. მაჭავარიანისთვის „2016 წლის 15 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6)“ N2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ივანე მაჭავარიანს მიენიჭოს „2016 წლის 15 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6)“ N2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ ხელმოწერის უფლებამოსილება.

გიორგი გახარია